# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 15
წელიწადი მეორე
— 1913 —
შაბათი, 19 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



აბა, მოსწიეთ პაპიროზი
15 ცალი 6 კ. „ა ნ ი“ 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

აბა, მოსწიეთ პაპიროზი
20 ცალი 1 შაურათ „ბელაია რომაშკა“ 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.


## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლო-ვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძიებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Хеладзе.
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.


## ქართული თეატრი.

შაბათს, 19 იანვარს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება.

I

**ი უ დ ა ს ა მ ბ ო რ ი**

დრამა 4 მოქ., გ. მუმლაძისა.

II

**ალდგომა ახალ წელიწადს**

ვოდ. 1 მ., ავერჩენკოს, თარგ, მ. ქორელისა.
რეჟისორი მ. ქორელი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. —✦— ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

[კვი]რას, 20 იანვარს 1913 წ. ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოდგენილი—იქნება

**დარღვეული კერა**

კომ. 3 მოქმ. ნაიდენოვისა, გადმ. გ. გუნიას მიერ
ადგილების ფასი ჩვეულებრივია—:: —რეჟისორი მ. ქორელი.
დასაწყისი საღ. 8 საათზე ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

**გ. გ. გიგინეიშვილისა.**

[ი]ანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი [კ]ლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

## მიიღება ხელის-მოწერა

[ყ]ოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალ

**„კლდე“-ზე.**

[1]913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა [ი]ლუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, [რო]გორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა [შე]იძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10 შ.
საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.
[სო]ფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წლ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.
განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.
მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

## თეატრ რადიუმში

**1 იანვრიდან 1913 წ.**

**იყიდება ადგილები სცენის ფარდაზე**

**განცხადებების და რეკლამებისათვის.**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

გამოც[დილი] **მასწავლებლები**

**ამზადებენ** ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი **„იმერეთის“ რედაქციაში.**

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

ქ ა ლ ი ს
**აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი. თფილისის ქ. ინჯიას ახლო.

**ბებია ქალი**
ო. დონდუას ასული
აქიმ გაგიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**აქიმი.** ბ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

**აქიმი ი. ჩარექოვი.**
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი ითსელიანის სახლი.

**აქიმი** მ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი.
გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.


## დ ღ ი უ რ ი

ავსტრიამ იტალიისა და რუსეთის საზღვრებზე ჰაერში ფრენა აკრძალა.

— ოსმალეთში ამბოხების პირველ დღეს შემდეგ მშვიდობიანობა გამეფდა. ახალი მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობს, რომ წესიერება არ დაირღვეს.

— ოსმალეთის პრესა დაჟინებით მოითხოვს ომის განახლებას. დიდმა ვეზირმა ამის გადაწყვეტა ნაციონალურ კრებას მიანდო.

— გერმანიის პრესა მოკავშირე სახელმწიფოებს ურჩევს: მოთმინება იქონიეთ, მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა და გამწვავებულ მდგომარეობაზე სიტყვის თქმა დიდ სახელმწიფოებს მიანდეთო.

— რუმინია-ბულგარეთ შორის დამოკიდებულება ისევ გამწვავდა.

— ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებაში მხოლოდ ახალგაზდა ოსმალთა პარტიის წევრებს ნიშნავენ.

— ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმაშევი სამსახურს თავს ანებებს. მის ადგილზე ასახელებენ ფინანსის მინისტრის ამხანაგს ნ. პაკროვსკის.

— ირკუტსკზე გზათ ჩინეთიდან დიდძალი ჩინელი მოდის. ესენი სამხრეთ რუსეთის მექარხნეებმა მოიხმეს სამუშაოთ.

— ვარშავაში საშუალო შკოლების მოწაფეებს თეატრსა და სინემატოგრაფებში სიარული აუკრძალეს.

— ვარშავაში პოლონელ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს—მოწაფეებმა რვეულები ებრაელთაგან არ იყიდონ.

— ებრაელთა წინაალმდეგ ბოიკოტი ვარშავაში გძელდება, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს სთხოვეს—გამოაცხადეთ, რომ თქვენ ფულს მხოლოდ ქრისტიანებს ასესხებთო.

— უმაღლეს წრეებში ლენის ამბებზე მანუხინის მოხსენების განხილვას შეუდგენ.

— ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტის სტუდენტები გაიფიცენ.

— ქალაქ ვილენის ხმოსნებმა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ამნისტიის შესახებ შუამდგომლობა აღძრეს.

— ილიოდორეს განზრახვა აქვს ცხვრის მწყესობას მოკიდოს ხელი.

— ბრიანი საფრანგეთის დეპუტატთა პალატის დათხოვას ფიქრობს.

— მეკაში შავი ჭირი მძინვარებს. მლოცველები ქალაქიდან გარბიან.

— მესამე სათათბიროს კანონ-პროექტს ლოთობის წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ ამ ჟამათ განსაკუთრებული კომისია იხილავს. ამ საგანზე კომისიაში გრაფმა ვიტემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა.

— მოსკოვის ქალაქის მოურავის არჩევანი მოახლოვდა და ამ საგანზე ორ ჯგუფს გაცხარებული ბრძოლა აქვთ. ერთი ძველ ქალაქის მოურავს ნ. გუჩკოვს ასახელებს და მეორე ჯგუფი კი თავადს ლვოვს.

— მაისში დღესასწაულების გამო მოსკოვის საშვალო [illegible] წლის ეგზა-

მენები ადრე გათავდება დაბალ კლასებში ეგზამენები არ იქნებაო.

— დელში მაჰმადიანთა მიტინგზე დაადგინეს,—ინგლისი ხელს უშლის ოსმალეთის თავის დაცვას და ისლამის გაძლიერებას წინ ეღობებაო. ოსმალები ან უნდა დაიღუპონ, ან და დიდება ისლამისა აღადგინონო.

— ირკუტსკში გენერალ-გუბერნატორის მეთაურობით მონგოლეთთან სავაჭრო მოლაპარაკება გაიმართა.

— გუშინ სტამბოლში ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$ საათზე ავსტრიის ელჩს საპასუხო ნოტა ჩააბარეს.

— პეტერბურგში გაფიცვისათვის 15 კაცი დაატუსაღეს, მათში ორი სტუდენტია.

— ბულგარეთის ფინანსის მინისტრი ტეტოროვი პარიზში სესხისათვის მოლაპარაკებას მართავს, რომელსაც ბულგარეთი ზავს შემდეგ აიღებს.

— პორტა სურვილს აცხადებს—ზავი ყამოავდოს და უნაყოფო სისხლის ღვრას ბოლო მოუღოს.

# ახალი ამბავი.

დეპუტატს გელოვანს ქუთაისიდან მასალები გაუგზავნაო, როგორც გადმოგვცეს, იმ ინციდენტის გამო, რომელიც ქალაქის შკოლებსა და დირექციის შორის მოხდა და რომელსაც ორი სამი მასწავლებელის დათხოვაც მოყვა.

✦ ალექსანდრე ჯანელიძეს ნება დართეს თავის საგულისხმო ლექციები—ეროვნული შემოქმედების შესახებ ქუთაისს, ფოთსა და ქუთაისის მაზრის დაბებშიც წაიკითხოს.

✦ წ. კ. გ. ს. ქუთ. განყოფილებას თავის რაიონში 13 სამკითხველო ქონია გახსნილი. განყოფილებას ახალი წესდება შეუმუშავებია და ამ დღებში სახელმძღვანელოთ დაურიგებს ამ ბიბილოთეკა-სამკითხველოების გამგეთ. განყოფილების უკანასკნელ კრებაზე გამგეობამ დადგინა—მისწეროს თავის შკოლებისა და სამკითხველოების გამგეებს: ა, როგორ სარგებლობენ შკოლებსა და სამკითხველოებში განყოფილების მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთებით; ბ. ისარგებლა თუ არა ამ გამოცემებით შკოლის შაგირდებმა და სამკითხველოებში სოფლელ წერა-კითხვის მცოდნეებმა; გ. რომელ გამოცემას, თუ წიგნს უფრო მითხოვენ ისინი და დ. რა გამოცემა უფრო ვრცელდება თითოეული გამგის რაიონში.

✦ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისის მომღერალთა გუნდის ზოგიერთ წევრს გულგრილობა შეეპარა და სამზადისზე ძვირათ ესწრებიან, ამის თაობაზე წერილი მოგვივიდა, რომელსაც ხვალ დავსტამბავთ.

✦ პრივანტ-დოცენტის ჯავახიშვილის ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო, სამწუხაროთ ბუნდოვანი სურათები სურვილისამებრ ვერ მოეწყო და რაც გამოჩნდა ისიც მკრთალად და ბუნდოვანათ, ასე რომ პატივცემულ პრივანტ-დოცენტს ბევრი ბოდიშის მოხდა დასჭირდა საზოგადოების წინაშე

✦ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ახალი პიესა „იუდას ამბორი" 4 მოქ. დრ. უმთავრეს როლს შეასრულებს ა. იმედაშვილი.

✦ ვლ. ალექსი—მესხიშვილის XXX წლ. იუბილე ქუთაისში განზრახულია 10 მარტისათვის.

✦ 24 იანვარს—მსახიობი ქალის მარო მდივანის-ასულის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე „პატარა კოლეტა" (მოზარდი ქალის სიყვარული 4 მოქ. კომ.

✦ თეატრის ტეხნიკთან, ს. ჭელიძესთან შეიძლება ნახოს კაცმა უძველესი ცხოველის „მამონტის" ეშვი ორი არშინი სიგძითა და კბილი 20 გირვანქა.

✦ გაზეთ „დენს" ბათომიდან ატყობინებენ: ხმოსანმა მდივანმა ქალაქის თვითმართველობას შეეკითხა—იცის თუ არა მან, რომ სახალხო შკოლების დირეკტორმა ნამესტნიკისაგან დამტკიცებული გეგმა უარყოო. თვითმართველობამ დირეკტორზე საჩივრის ქაღალდი ნამესტნიკთან და სახალხო განათლების მინისტრთან გაგზავნა. ქალაქში ხმა გავრცელდა დირეკტორი ოლქის მზრუნველის ნებართვით მოქმედებს ასეო, ხოლო ოლქის მზრუნველს კი სახალხო განათლების მინისტრისაგან აქვს ამის შესახებ მოწერილებაო. ამავე გაზეთს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ დირეკტორზე საჩივლელათ ქუთაისი დეპუტაციას ნამესტნიკთან გზავნისო.

✦ თფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ კანონ-პროეკტი სათათბიროში შეაქვთ. სათათბირო ამ კანონპროეკტს მიმდინარე სესიაში განიხილავს. შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი მაკლაკოვი ამ საკითხზე ნამესტნიკის აზრს იზიარებსო.

✦ ნამესტნიკმა ნება დართო წარმოადგინონ ქართული პიესები: „უმღური ამხანაგი" მ. იანკოშვილისა და „შავი ქვის მრეწველნი" გ. ნუცუბიძის.

✦ როგორც ვწერდით ამას წინათ ქუთ. მცხოვრებმა პ. ქორიძემ უსახსრობის გამო თავი მოიკლა. განსვენებულს თურმე ბევრი ნაცნობებისათვის უთხოვია დახმარება, ყველას უარი უთქვამს. საცოდავს დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში სადუქნე სახლი დაუქირავებია. იანვრიდან ვაჭრობის დაწყებას აპირობდაო. დღეს სადუქნე სახლის პატრონს სთხოვს განსვენებულის ქვრივი იმ ხუთ მანეთს, რომელიც მის ქმარს ბეთ მიუცია. სახლის პატრონს ცირეკიძეს ბეს მიცემაზე უარი უთქვამს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ნაკადულის 3 [...]რი ნომერი. (მც. წლ.) ჟურნალში [...]ბეჭდულია ვაჟა-ფშაველას, ქუჩიშვილის, ბაბილინას, ვ. თამროშვილის და სხვათა ნაწერები.

✦ თფილისში მფრინავი ვ. ქებურია ამ მოკლე ხანში კიდევ გაფრინდება.

## მოწერილი ამბავი.

სოფ. ნაესაკოვი (ოდიში).

— 9 იანვარს ღამე დაიწვა სამინისტრო ორკლას. სასწავლებლის შენობა, სადაც 300 მოწაფე სწავლობდა და მას გვერდით დაიწვა სასოფლო კანცელარია. იქვე ახლო იყო საკრედიტო ამხანაგობაც, მაგრამ როგორღაც გადაარჩინეს. ზარალი სოფლისა 20,000 მან. აღემატება, მარტო სასწავლებლის შენობა დაუჯდა საზოგადოებას 17 ათას მანეთამდი.

აღნიშნულ სასწავლებლის მასწავლებლებთა და მცხოვრებთა შორის უსიამოვნება იყო...

დ. აბაშა.

— სოფ. სიგვაზაოს მასწავლებელს კორძაიას შობის წინადღეებში მოუტაცებია ადგილობრივი მცხოვრების კაჭარავას ქალი. ქალი კორძაიას და მის ამხანაგს, ბალანჩივაძეს ბათომს წაუყვანიათ. ქალის მშობლის განცხადების თანახმათ, კორძაია ბათომში დაუკავებიათ. ქალი მასთან არ აღმოჩენილა. კორძაიას გაუცხადებია,—ქალი ჩემი ამხანაგისთვის წამოვიყვანეო. არც ქალი და არც მისი ამხანაგი არა ჩანს. მშობლები საგონებელში ჩავარდენ. კორძაია ბათომის ციხეში გაუგზავნიათ. სასწავლებელი ერთი მასწავლებლის ამარაა მიტოვებული.

# ფიქრის მორევში.

კანონიერი უკანონობა... უკანონო კანონიერება—რაც გნებავთ, ის უწოდეთ—ჩვენთვის ეს ხილი არ ახალია... შემოგვჩივლა ერთმა მასწავლებელმა: სახალხო კითხვის გამართვის უფლება წაგვერთვაო. კვირა უქმე დღეობით, სოფლის შკოლის დარბაზში, ან სადმე კერძო ბინაზე თავს მოიყრიდა სოფლის ხალხი, ორივე სქესი, დიდი-პატარა, მოხუცი-ყრმა. ავიღებ[...] ერთერთი ჩვენი მწერლის მოთხრობ[...] ლექსს და წაუკითხავდით. რა ს[...]ბული, გულის ყურით გვისმენდა ხალხი. გესმოდა გულუბრყვილო ამოძახილი:—„შენი ჭირიმე ბიჭო!" „უი, ღმერთო მომკალი!" „ვაი, შენს დედას!" „შენ გენაცვალე!" „ქრისტემ დაგწყევლოს"!.. და მისთანები. ხშირი იყო გულიანი სიცილი, ცრემლებიც...

წაგვერთვა ამის უფლებაო... დირექცია გვიკრძალავს ასეთი კითხვების გამართვას, კანონი კი არის იმისი, რომ ნებადართულია ასეთი კითხვები. მასწავლებელს, თუ კერძო პირსაც უფლება აქვს არა თუ მარტო ცენზორისაგან ნებადართული ნაწარმოები წაუკითხოს ხალხს სათანადო მთავრობის ნებართვით, არამედ საკუთარი ხელნაწერიც, თხზულებაც წარუდგინოს ამ მთავრობას და ამის წაკითხვის ნებაც აიღოს.

და საქმეც ისაა, რომ ეს ნებართვა აღარ გამოდის...

ხალხი რაც სიბნელეში იქნება ვითამ აჯობებს?!

კანონიერი უკანონობაა და უკანონო კანონიერება...

ხოლო სხვა რაა კანონიერი.. დ.

# გლეხის ს. ფრუიძის წერილი.

ქვემოთ ვბეჭდავთ გლ. ფრუიძის წერილს.

დასელებსა და მათ „მერცხალს" ვერ მოუნელებიათ გლეხი ფრუიძის მოგონება, ვერ შერიგებიან იმას, რომ მათ კლანჭებს თავი დააღწია მან, ამას ღალატს ეძახიან და იმთავითვე ამ გლეხზე საზიზღარ ჭორებს სთხზავენ და მით ავსებენ თავის ჭორის გუდას, რომელსაც გაზეთს ეძახიან. პირველათ თვით გლეხმა ფრუიძემ მოათავსა ჩვენი გაზეთის გასული წლ. ნუმერში (77) ცნობა იმის თაობაზე, რომ მებატონეები, როცა სანადელო გლეხების გათავისუფლების ამბავი გაიგეს, შინაურულათ, შუამავლების საშვალებით ურიგდებიან გლეხებს და ატყუებენ მათო. ამის თაობაზე,—ვილაც ვ. ლეკვიშვილიაო—წერილი მოათავსა, თუ მოათავსებინეს მერცხლებმა და ამაზე გვწერს გლ. ფრუიძე.

### პასუხი ბ. ვ. ლეკიშვილს

„მერცხლის" ზამთარში აჭიკჭიკებამ თქვენც აგიყოლიათ და რაც ჭორები გაგიგონიათ მართლათ გეჩვენებათ. „მერცხლის" მე-5 ნუმერში მოთავსებულია წერილი ლეჩხუმიდან, სადაც თქვენ გლეხების ინტერესების არ დაცვას მიკიჟინებთ და ბრალსა მდებთ ვითომც და ჩემის შუამავლობით გლეხები ურიგდებოდენ მებატონეთ შინაურულათ უკანასკნელთა სასარგებლოთ. რაც შეეხება ამ შინაურულათ შერიგებას მებატონეებთან ამაზე კიდეც გამოვსთქვი ჩემი აზრი „იმერეთის" 77 ნუმერში. სადაც მოთავსებული იყო ჩემი წერილი.

ბატონო ლეკიშვილო! როგორც ჩანს, არ წაგიკითხავთ და თუ წაიკითხე და არ დაიჯერე, ეს რა ჩემი ბრალია. ბძანებთ—„ფრუიძე გლეხი გაფედერალისტებულიო"... ვითომც და რა? ქართველი გლეხის გაფედერალისტება იმის ჭკუაზე მოსვლას ნიშნავს და მას შენც გისურვებ ჩემო მეზობელო, დამეწყევლო ვითომც ნუ გენაღვლება და მას როდესაც შეიგნებ, მაშინ დარწმუნდები. თუ ლეკიშვილი ბძანდები, უსათუოდ გლეხი იქნები. ეს ასე და ახლა საქმის გარამოებაზე გადავიდეთ. ბატონო ლეკიშვილო! სასტიკათ სტყუით, როცა ორი გლეხის შუამავლობას მე მახვევთ თავზე. გლ. კ—ტ, გაურიგდა მებატონეს ადგილობრივი ღვდლის ბურჯანიანის და მასთან ორი-სამი სხვა პირების შუამდგომლობით, რასაც ისინი არ ფიცავენ. როგორც ნამდვილათ ვიცი ა—ტიც და მეორეც [...] სხვა პირობებით ჩაჭერილა ყოფილან [...] ბატონისაგან, ეს პირობა დაწერილია [...] შემოწმებული [...] მაზრის მომ[...] ბელ-შუამავლის მიერ. პირობებში [...] ჯარიმაც ყოფილა აღნიშნული და ყ[...] ამ [...] კ—ტმა [...] წია 550 მანეთის გაღებით (და არა 50[...] მ.) რითაც კ—ტმა შეინარჩუნა: ა. [...]ბული ადგილი, ბ. დანარჩენი სანადელ[...] მიწები, გ. ექვსი ნაჭერი ტყე, დ. [...]ლი წლის ნადელის ფული 40 მ. [...] ყველა ჯარიმები რომელიც უდრიდა 5[...] მ. მეორე გლეხი და მებატონე კი [...]რიგებულან 220 მან. ორპირის გზა[...]ცილზე მომავალნი უშვაკაცოთ, რა[...] თითონაც არ ფარვენ. ახლა მე რა შე[...]ვარ ბ. ლეკიშვილო? ყველა ამის შემდე[...] გთხოვთ თქვენ მიერ წამოყენებულ ბრა[...]დებაში თქვენივე თავი შემცთარათ აღ[...]როთ გაზეთის საშვალებით, წინააღმ[...] შემთხვევაში მე უფლებას ვიტოვებ სა[...]ხანაგო სამსჯავროს წინაშე დაგიმტკ[...] და გამოვაშკარაო თქვენი ჩემდამი [...]ბუთო ცილის წამება.

გლეხი სამსონ გ. ფრუიძ[...]

# პასუხათ ბ-ნ „რ"-[...]

არ ვიცი, თქვენთან ერთად, საზ[...]დოებისათვისაც გაურკვეველია ის კით[...]ბი, რომელსაც თქვენ უყენებთ „ქალ[...]ყლორტს" თუ არა? მაგრამ ის კი ვ[...] რომ ქართველი მკითხველი უეჭველ[...] ეჭვით შეხედავს თქვენი მსჯავრის მი[...]გომლობას და ბრალდების სისწორ[...] რადგან ბევრმა აშკარათ უწყის, რომ, [...] დორპატში იმყოფებოდით, მუდამ სათვ[...]ტომოს წინააღმდეგი იყავით, მას ლან[...]ღავდით და კიცხავდით, იმიტომ რომ [...] „ქართული" სათვისტომო იყო და ერო[...]ნული ხასიათი ქონდა.

თქვენ მუდამ ცდილობდით მის და[...]ღვევას და მეორე წრეს, კავკასიურ სა[...]გადოებას, სადა ქართული და ქართ[...]ლობა მარტოოდენ სიცილს იწვევდა [...]დამ, ამ საზოგადოებას უმაგრებდით ზურ[...] სათვისტომოს წინააღმდეგ. მახსოვს მაშ[...]დელი თქვენი გამოლაშქრება გაზეთ[...] ფურცლებზე და აქაც თქვენ, ძალაუ[...]ბურათ, ძველ ნატკენ ადგილს ეხებით [...] ძველებურათვე უდიერათ იხსენიებთ [...] სათვისტომოს. ასეთია ადამიანის ფსიქო[...]ლოგია, ამ შემთხვევებში მას უბრალ[...] ჭეშმარიტების დანახვა არ შეუძლია, რად[...]გან ძველი ანგარიშები მუდამ წინ უ[...]რებს და აღელვებს. ეს აშკარათ ატ[...] თქვენი წერილის ბოლოს.

ხოლო რაც შეეხება თქვენს კითხ[...] მინდა შემდეგი გიპასუხოთ: 1) დ. ქლდ[...] პირადი უთანხმოება ქონდა კარგა ხ[...] ადრე ბ-ნ მ.—თან, რომელმაც მას შ[...]რაცხყოფა მიაყენა სათვისტომოს შ[...]ბაში. სათვისტომომ იქონია ამ საქ[...]ლის შესახებ მსჯელობა და ის აზრი [...] მოსთქვა, რომ პირად საქმეებში ჩარ[...] უფლება მას არა აქვს და ბ-ნ მ—ი [...]

# უსამართლო სამართალი.

### ქართველი სტუდენტობა გუშინ და დღეს.

ჩემი ჩემებრ არვინ იცის—
რა მამწარებს, რა მატკბუნებს.

წერილი დაგვიგვიანდა...

წინა წერილში აღვნიშნეთ ჩვენს საზოგადოებაში და პრესაში გაბატონებული აზრი ქართველი სტუდენტობის შესახებ. სამწუხაროთ ჩვენი ახალგაზდობის დარიგება-მხილებას, თუ კიცხვა-კილვას ისეთი მიმართულება მიეცა, რომ მას საზოგადოებასა და ახალგაზდობის შორის გაუგებრობის, უნდობლობის და სიძულვილის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ, და რაიმე სარგებლობის მოტანა კი სრულებით არა.

გადავავლოთ თვალი ჩვენი სტუდენტობის ცხოვრებას.

ქართველი სტუდენტობა მესამოცე წლებიდან დაწყებული სულ უკანასკნელ ხანამდი არსებითად არაფრით განირჩეოდა რუს სტუდენტობისგან. მე უმთავრესათ სახეში მაქვს მისი იდეური მიმართულება. იგივე გატაცება რევოლუციონური იდეებით, უმაღლესი დემოკრატიზმი, რუსეთის თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლა და სხ. თუ საერთო სტუდენტობის მასაში ქართველთა მცირე ჯგუფი რამეთი გამოირჩეოდა, მხოლოდ იმით, რომ მასაში ქართველური სისხლი სჩქეფდა და საერთო ბრძოლაში მეტ ტემპერამენტს და სიმამაცეს იჩენდა. აწ განსვენებულ[...] „[...]დნიკი" პანტელეიმონოვი სწერდა თავის მოგონებებში მესამოცე წლების სტუდენტობის მოძრაობის შესახებ, რომ ქართველთა პატარა ჯგუფს ამ მოძრაობაში მრავალრიცხოვან რუსებს შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეჭირაო.

დრონი იცვალენ. დღევანდელი რუსეთის სტუდენტობა ბევრით აღარ გავს თავის წინაპარს. თუ წინათ მასში აქა იქ მოიპოვებოდა ვიწრო ეგოისტი, უიდეო კარიერისტი, დღეს სტუდენტობის საერთო მასაში საერთო იდეალებს მოკლებულნი, კარიერისტები და უპრინციპო ეგოისტები თითქმის უმრავლესობას შეადგენს. ამის მიუხედავათ სტუდენტობას დღემდი არავისთვის დაუთმია მოწინავე ადგილი რუსეთის თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამ უკანასკნელ წლებში, რეაქციამ მთელი რუსეთი ჩააჩუმა და სხვა ხმაზეც აალაპარაკა; სტუდენტობაში კი ძველებურათ ღვიოდა ცეცხლი, ის არ დაცხრა, არ დამორჩილდა. სწორეთ ოხუნჯობათ ეთვლებათ ჩვენ „დასელებს", მგონია, შარშან გამოთქმული აზრი ქართველ და რუს სტუდენტობაზე, რომ უკანასკნელმა და საერთოდ ინტელიგენციამ უკვე დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა რუსეთის პოლიტიკურ ბრძოლაში მას შემდეგ რაც ბრძოლის ასპარეზზე პროლეტარიატი გამოვიდა. აწ იქნებ ამ სიტყვებით მათ მწარეთ უსაყვედურეს „რევოლუციის ავანგარდს" ასე ხანგძლივ დუმილისთვის მაშინ, როდესაც სტუდენტობის გაბედულ გაფიცვა-დემონსტრაციებმა მთელი რუსეთი ხელ-ახლა აალაპარაკა... ქართველ სტუდენტობას აქაც არ აუხვევია გზა ტრადიციისთვის და სტუდენტობის საერთო მოქმედებაში ისიც ერეოდა. დაჭერილთა თუ უნივერსიტეტიდან გამორიცხულთა შორის ქართველებიც მრავლათ მოიპოვება. აღსანიშნავია ერთი მოვლენა—პოლიტიკური მიმართულებით ჩვენი სტუდენტობა რუს სტუდენტობასთან შედარებით ბევრათ უფრო მემარცხენეა. მემარჯვენენი მათში თითო-ოროლა თუ მოიპოვება, ზომიერი მიმართულების სულ ცოტა, და პოლიტიკურათ ინდიფერენტიულთა რიცხვიც შედარებით ძლიერ ცოტაა. ასე რომ უკანასკნელ წლებში მას მეტი ძალის და მხნეობის გამოჩენა შეეძლო, მას შეეძლო მოძრაობის სათავეში ჩადგომა. ეს ასეც იქნებოდა, რომ ქართველი სტუდენტობის დიდი ნაწილი ამ უკანასკნელ მოქმედებათ ინდიფერენტულათ არ შეხვდებოდა. ამის მიზეზი არ არის ჩვენი სტუდენტობის მარჯვნით გადახრა, ან პოლიტიკურათ ჩამოქვეითება, იდეურათ დაუძლურება და სხვა, არამედ სულ სხვა მოვლენა.

ქართველი სტუდენტობა, თუ საერთოდ ქართველი ინტელიგენცია დიდი ხანია ჩაბმულია რუსეთის გამათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მას არ შეუტანია თავისი განსაკუთრებული სახე.*) იბრძოდა ისე, როგორც რუსეთის ინტელიგენცია—რუსეთში დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლათ. გულუბრყვილოთ ბევრს სწამდა, რომ საერთო ძალით მოპოებული უფლებები ყველასთვის ერთნაირად განაწილდებოდა. ბევრი არაფერი მოუპოებია რუსეთის საზოგადოებას. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება მაინც შესამჩნევათ გამოიცვალა. კონსტიტუციამ, თუმცა ძლიერ მდარემ მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოახდინა რუსეთის საზოგადოების უფლებრივს განწყობილებაში ჩვენ კი რა მივიღეთ, რა გვხვდა წილათ? ცოტათ მაინც შემსუბუქდა ჩვენი მძიმე ეროვნული ჩაგვრის უღელი? მცირედ მაინც შეიცვალა ჩვენი რწმენისა და რჯულის შელახვა, მშობლიური ენის ძალით აღგვა, განადგურება? პატარათ მაინც თუ შეიცვალა ჩვენი მიწის ჩვენთვის წართმევის და სხვისთვის მისაკუთრების პოლიტიკა? საერთოდ თუ შემსუბუქდა ჩვენი ეროვნული დევნა, თუ გამოიცვალა დაჩაგვრის პოლიტიკური პრინციპი—ყველაფერი სხვას, არაფერი ჩვენ! თვით რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში ვინ უნდა იცოდეს, ან ვის უნდა სწამდეს ჩვენი ეროვნული ტკივილები, როდესაც ჩვენ არ ვამხელდით მას მაშინ, როცა ყველა თავის წრის და ჯგუფის საჭიროებაზე გა[...]ხოდა.

დღეს პოლიტიკაში გამეფებულია [...]დურესი ნაციონალიზმი (აგრეწოდ[...]ლი ზოოლოგიური). რუსეთის ხალხში [...] თანდათან ფეხს იდგამს პანსლავიზ[...] იდეალები, რასიული შოვინიზმით გა[...]ჰვალული არიან რუსეთის თავისუფ[...]ბის ისეთი მებაირაღტრენიც კი, რო[...]გორც მაქსიმ გორკი. ყველა ოცნებო[...] სლავიანთა ბატონობაზე „დიდებულ[...] რუსის ხალხის" მეთაურობით. ეს ბალკ[...]ნეთის ომის დროს საკმაოთ გამოაშ[...]რავდა. მაშ ნუ ამოვიღებთ ჩვენ ხმას [...] რუსეთის საზოგადოებას მივანდოთ ჩვ[...] ეროვნული გათავისუფლება!

აი, სწორეთ ამ ძველი გზის და ძვ[...]ლი იმედების უარყოფა აღსანიშნავ[...] დღევანდელ ქართ. სტუდენტობის ცხო[...]რებაში. გაცრუება საერთო პოლიტ[...]კურ ბრძოლაზე დამყარებული იმედე[...]სა, ეროვნული ცხოვრებისადმი ინტერ[...] გაღვიძება და გაძლიერება და ახალი [...] მოქმედო ასპარეზის ძიება—დამახასიათ[...]ბელია დღევანდელი ქართველი სტუ[...]დენტობის იდეურ ლტოლვილებათა. [...] წინათ თითო-ოროლა ქართველი სტუ[...]დენტი მხოლოდ იზიარებდა ჩვენ ერო[...]ნულ იდეალებს, დღეს მას ქ. სტუდე[...]ტობის დიდი უმრავლესობა საყვე[...] შეგნებულათ, თუ ჯერ კიდევ არა [...] მათო შეგნებულათ ემსახურება. ეს მო[...]ლენა საზოგადოთ მთელ ჩვენს ინტე[...]ლიგენციასაც ეჩნევა. „დასელებს"[...]

*) პეტერბურგის სახელოვანმა „ქართულმა წრემ" ჩვენს ერს სახელოვანი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე მისცა, მაგრამ ეროვნული მიმართულება სტუდენტობაში მას არ შეუქმნია.

სასჯელია იმდენათ, რამდენათაც მან შეურაცხყოფაზე ასეთი არა კულტურული პასუხი გასცა ქლენტს სათვისტომოს ბინაზე. ამისათვის, მან აზრი გამოსთქვა გაეძევებინა ბ-ნი მ.—ი მთელის სემესტრით, კრება გადიოდა შემთხვევით და მეორე კრებაზე მ.—მა სათვისტომოს ოფიციალურის ბოდიშით მიმართა და ითხოვა (წერილობით) შეემსუბუქებიათ მისთვის სასჯელი, რადგან ფრიად აშფოთებულათ ცნობდა თავს ქლენტის მიერ წინასწარის ნალაპარაკევით ვიღაც ქალთან და ეს ვერ მოითმინა. ხოლო ბ-ნ ქლენტს კი რა გზითაც უნდა პასუხს გავსცემ ჩემის საქციელისათვის და ყოველ გადაწყვეტილებას დავეთანხმებიო. სათვისტომოს კრებამ ყველა ეს მხედველობაში მიიღო და ბ-ნი მ—ი ორი კვირით გააძევა სათვისტომოდან და ბ-ნ ქლენტს წინადადება მისცა პირები დაენიშნა და სამართალში გამოეწვია უკანასკნელიც, რადგან ორგანიზაცია მათ პირად ცხოვრებაში ვერ ჩაერევა. 1) ქლენტმა მოითხოვა—მ.—ლი გადასულიყო დორპატიდან სხვა უნივერსიტეტში, ასეთი ადმინისტრატიული წესით გადასახლების უფლება სათვისტომოს არ ქონდა და ვერც იკისრა ამგვარი როლი. ამას შემდეგ ქლენტი დროებით გავიდა სათვისტომოდან და აღნიშნა, რომ დაღლილი იყო და დროებით მოსვენებას ითხოვდა. კრების საერთო თხოვნაზე და კაცების გაგზავნას შემდეგაც მან იგივე გააცხადა დროებით დამაცადეთ, დავმშვიდდებიო. ეს იყო და ეს. არავის ქლენტი არ გაუძევებია, წინააღმდეგ დარჩენას სთხოვდენ; 2) რაც შეეხება მ—ძის საქციელს, რომელსაც, თქვენის აზრით, ეს კატასტროფა მოყვა, მაზე სათვისტომო დღემდი მსჯელობას ვერ იქონიებდა, რადგან აქამდი კომისია მუშაობდა, რომელსაც უნდა საქმის ფაქტიური მხარე გამოერკვია, ხოლო რაკი მან ანგარიში გამოაქვეყნა, სათვისტომო მომავალში მსჯელობას იქონიებს, ვინ რამდენათ ცუდათ მოიქცა და მას, უეჭველია, თუ დამნაშავეთ იცნობს, პასუხსაც მოსთხოვს.

3) ადგილობრივ სტუდენტის ბრალდებაზე, რომელმაც დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა, სათვისტომო ჯერ ხანათ ვერავითარ მსჯელობას ვერ იქონიებდა, რადგან ქალაქში ამ სიტყვის შესახებ ათასნაირი ხმები დადის და სათვისტომოც უცდის იმ სტუდენტის დორპატში ჩასვლას, რათა ის სიტყვა განიხილოს (დაწერილი წაუკითხავს) და თუ ეგ ჭორები არ გამოდგა, ანგარიში მოსთხოვოს და სამართალში გამოიწვიოს.

მე მგონია ამითი დაკმაყოფილდებით ჯერ-ჯერობით თქვენც და საზოგადოებაც, რომელიც „თქვენთან ერთად უცდიდა ამ კითხვების პასუხს".

რაც შეეხება ლოთობასა და მუშტკრივს, თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ ერთმა და ორმა ქართველმა რომ ცუდი საქციელი ჩაიდინოს აქ არც სათვისტომო და არც თქვენგან მოწონებული კავკასიური საზოგადოება დამნაშავე არ არის.

არ იყო საკადრისი აგრეთვე „მოსულთან" შეხმატკბილებულათ გამოსულიყავით და სათვისტომოსთან მოგეხსენებიათ ს—ცკო, რადგან თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ მას სათვისტომომ კი არა, ერთმა პირმა მიმართა და არა თხოვნით, არამედ მოთხოვნით, რომ მას დაედასტურებია და დაჭერილ ამხანაგის პეტერბურგში გამგზავრების მიზანი, რადგან მან ეგ იცოდა და ჟანდარმერია სხვის მოწმობასაც არ გაუწევდა ანგარიშს. ყოველ შემთხვევაში ეგ სტუდენტობამ განიხილა და აქ დასაგმობიც არა უნახავთ რა...

**ნიბლიაშვილი.**

## წერილი ჟენევიდან.

ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიან მკითხველთ ადგილობრივი გაზეთები ბალკანეთის მეომარ ერთა შესახებ. მინდა ზოგი ეს ცნობა ბალკანეთის გმირთა შესახებ, „იმერეთის" მკითხველთ მივაწოდო, იმ გმირთა შესახებ, რომელთაც თავისი ეროვნული საქმეებს მედგარი დაცვით მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღება მიიქციეს.

ამ ჟამათ ვისაუბრებ სერბიაზე, რადგანაც 1913 წ. მისთვის დიდმნიშვნელოვანია. სერბიამაც, მოგეხსენებათ, სხვა ბალკანეთის ერთან შეკავშირებულმა ააგრიალა ზარბაზნები და ამხილა კაცობრიობას, რომ ის სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს ოსმალეთს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ჩაგრავდა და სრულს მოსპობას უქადიდა მას.

1912 წელიწადი, რომელიც ეს არის ჩაბარდა ისტორიას, სამუდამოთ სახსოვარი იქნება სერბთათვის. ერთსა და იმავე დროს ის არის წელიწადი ბალკანეთის ჩაგრული ერების აღორძინებისა, არსებობისათვის ხმის ამოღებისა და მძიმე უღლისაგან გათავისუფლებისა.

სერბია ხედავდა, რომ დადგა დრო ჩაგრულ მოძმეთა გათავისუფლებისა და მოკავშირეებთან ერთად ეკვეთა ოსმალეთს.

ამ თავისუფლებისათვის თავგამოდებულმა ბრძოლამ დაჩრდილა განვლილ საუკუნეთა ომები. აქ სარწმუნოებისათვის და ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლათ როდი იბრძოდენ, არამედ იმ ხალხთა გასათავისუფლებლათ, რომელიც სიყვარულის და თავისუფლების იდეალს ემსახურებოდა და ამის გამო სასტიკ დევნას განიცდიდა საუკუნეთა განმავლობაში.

ახალი წლის დასაწყისშივე ბალკანეთის გამარჯვებული ერები დროებით ზავს ჩამოაგდებენ, გზავნიან ლონდონს რწმუნებულთ და გადაჭრით მოითხოვენ ოსმალთაგან, ახლა მაინც გონს მოვიდეს და დაუთმოს მათ დაპყრობილი ცეცხლითა და შეურიგდეს იმ აზრს, რომ ამ პატარა ერთაც შეძლებიათ არსებობა დამოუკიდებლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებიან სტამბოლის დაპყრობას და სრულს განდევნასაც კი ევროპიდან.

1913 წელს [illegible] სერბიისათვის განსაკუთრებული [illegible]ლობა აქვს. წელს სრულდება ასი წელიწადი მას აქეთ (1813), რაც სერბთა პირველი „რევოლუცია", რომელიც მოხდა ბარაგიორის მეფობის დროს ბარბაროსთა მონობისაგან გასათავისუფ[ლებლა]თ, დასრულდა კატასტროფით.

1804 წ. სერბია აჯანყდა. ამ აჯანყების დროს სერბია თითქმის დაიცალა. იანიჩართა თარეშმა სრულიად გაანადგურა ქვეყანა.

სასო მიხდილი ხალხიც, რომელსაც დარჩენოდა მხოლოდ ან სიკვდილი ან მონობა, აჯანყდა—ხმა აიმაღლა. მიუხედავათ იმისა, რომ ბრძოლა თითქმის უიარაღოთ უხდებოდა: რამდენიმე კაჟიანი თოფი, ორი ზარბაზანი, ისიც ხის და ნაჯახები შეადგენდა მათ საბრძოლველ იარაღს და მიუხედავათ ამ უთანასწორო ბრძოლისა, ცხრა წელიწადს ომობდენ, და როდესაც 1812 წ. რუსეთი ნაპოლეონის შემოსევით დაფრთხალი, ბუქარესტის ზავით ეკვრის ოსმალეთს, ეს უკანასკნელი მთელის ძალღონით სერბიას დაატყდება თავს. დაქანცული ხანგძლივი ომებით, მოკლებული ყოველ დახმარებას, რუსეთის მიერ მიტოვებული, სერბია ეცემა. 1813 წელს გამარჯვებული ოსმალები ბელგრადს შევლენ.

აქიდან იწყება ერის აუტანელი წამება. გამარჯვებული მტერი შურს იძიებდა. ბევრი ოჯახი და რევოლუციონერი იძულებული შეიქნა მიეტოვებია სამშობლო. ბევრიც ან თავს იხჩობდა მდინარეებში, ან ოსმალთ უვარდებოდა ხელთ.

როგორი უნდა იყოს ახლანდელი ომის შედეგი, შედარებით იმასთან, რაც ერთი საუკუნის განმავლობაში თავისუფლებისათვის წარმოებულ ომს მოყვა, რა ცვლილება მოელის ამ დაჩაგრულ ერს? საუკუნოობით აგონიაში მყოფი ერი დღეს წელში გაიმართა. გუშინდელი მონები, ევროპის მიერ უცნობნი, დღეს მთელი კაცობრიობის ყურთა-სმენას იქცევენ. ევროპა გაოცებული უსმენს მათ რწმუნებულთ, რომელნიც ლონდონში სენტჯემსის სასახლეში ზავის პირობებს უკარნახებენ ოსმალებს. სერბია ერთი საუკუნის წინ თითქმის გადაშენებული, კაჟიანი თოფებით შეიარაღებული, ახლა წარმოადგენს ევროპიულათ შეიარაღებულს სამ მილიონ მცხოვრებიან სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ბრძოლის ველზე არა ნაკლებ სამასი ათასი მეომარისა—500 ზარბაზნით. შენდება ქალაქები და იმართება სოფლები იმ ადგილას, სადაც ერთი საუკუნის წინათ ცეცხლი ნთქავდა ყველაფერს. ყოველგან და ყველაფერს წინსვლა ეჩნევა.

1913 წ. სერბია წამდგარია ევროპის წინაშე და უცდის სამართალს და მისგან შექმნილ მდგომარეობის დადასტურებას.

შეუძლია განა ძველ ეგოისტ ევროპას უარი უთხრას სერბიას და გადაეღობოს მისი სურვილების განხორციელებას, როდესაც მან მოკავშირეებთან ერთად ასეთი ღვაწლი დასდვა მთელს განათლებულ ქვეყანას? აი, კითხვა, რომლის გადაჭრას ელის სერბია და მასთან მისი მოკავშირე პატარა სახელმწიფოები, რომელნიც საუკუნოებით მონობას ებრძვიან.

გ. ბ—ძე.

ჟენევა, იანვარი 1913 წ.

---

[...]ნადელს სავსებით უარყოფას ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ახლა სულ [...]ვინ, ან თითო-ოროლა პოლიტიკური დეგენერატი თუ იზიარებს. სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში მრავალი აარსებენ ეროვნულ წრეებს, იკვლევენ სამშობლო ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. ამით ივსებენ აღზრდის დანაკლისს. პეტერბურგში სამი ასეთი წრეა, შეიძლება, ახლა მეტიც იყოს. ეს ეროვნული წრეები ამ მოკლე ხანში აღმოცენდა ძველ ვიწრო პარტიულ წრეების ნაცვლათ. შეძლებისადაგვარათ უცხოეთში აღნიშნავენ სამშობლო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. მართავენ თამარ მეფის იუბილეს, ილიას [...]ამოებს, მაშინ როდესაც საქართველოს სატახტო ქალაქს ავიწყდება ეს. [...]უცეთ ამკვიდრებენ სათვისტომოში და თავიანთ წრეებში ქართულ ენას და [...] შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სტუდენტობა უკვე გაიტაცა ამ ეროვნულმა მიმართულებამ. გასაგებია „მერცხლის" [...]ლიცისტების („მოსული", „რ") და [...] ფეხის ამყოლის „თემი"-ს ბრაზიანული წერილები ქართველ სტუდენტობაზე. ქართველ სტუდენტობაში „დასელები" უფრო შეგნებული და გონიერნი არიანო, ჩვენმა სტუდენტობამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა რუსის სტუდენტობასთანო და სხ. პირველზე ნურას ვიტყვით. მათ შეგნებას ვინ გაზომავს, რიცხვი მათი კი დნება ვით თოვლი გაზაფხულისა.

ქართველი სტუდენტობის საერთო ოჯახიდან გამოცალკევება კი მე თითონ აღვნიშნე—ამის მიზეზი ძველი ბრძოლის გზის უარყოფა და ახალ გზაზე დადგომაა.

ამ ახალ, ეროვნული მოღვაწეობის გზაზე ჩვენმა სტუდენტობამ ცოტა ხანია, რაც ფეხი შედგა და მისი მაზე მსვლელობა ჯერ სუსტი და გაუბედავია. იმედი უნდა ვიქონიოთ—ახალგაზდობა ახალგაზდური გატაცებით და მხნეობით შეუდგება მშობლიური კერის სამსახურს.

რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ ჩვენი სტუდენტობა მხოლოდ მხიარულ და უდარდელ ცხოვრებას ეწევა და დროის დაკარგვის მეტს არაფერს აკეთებსო, ეს მეტათ გადაჭარბებულია. ქართველი სტუდენტობა ახლა არა ათობით, არამედ ათასობით ითვლება და მათში შეიძლება ბევრი მხოლოდ ქეიფსა და ლხინს ეწეოდეს და მეტს არაფერს აკეთებდეს. ეს ასეა საზოგადოთ ახალგაზდობაში. უარესი ხდება რუსებში. ასკეტიზმის განხორციელებას, ეს სასურველიც რომ იყოს, ახალგაზდობას ვერ მოვთხოვთ. გართობა და მხიარულობის და სიყვარულის სამსახური ახალგაზდობის წესია, თუ, რასაკვირველია ეს ზომას არ გადაცილდება. სათვისტომოები და სხვადასხვა წრეები უნდა ეკადონ, რაც შეიძლება მეტი ახალგაზდობა ჩააბან თავის მუშაობაში, რომ ამით ისინი ეროვნულ საქმეს დაუკავშირონ და გადამეტებულ მხიარულ ცხოვრებას ააშორონ.

გადამეტებულ კილვა-კიცხვისთვის ქართველ სტუდენტობას შეუძლია ასე მიმართოს საზოგადოებას: თქვენ გვიწუნებთ შრომის უნარს, საქმიანობას, გვიწუნებთ მამულიშვილობას, გვაბრალებთ გადაგვარებას...

გაიხსენეთ ჩვენი აღზრდის პირობები: **ოჯახი**: უარყოფა და ფეხით გათელვა ყოველივე იმისა, რაც მამულიშვილისთვის წმიდათა წმიდას უნდა შეადგენდეს დამცირება მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულების. **შკოლა**: დამცირება მშობელი ერის, შთანერგვა უცხო ხალხის სიყვარულისა, მათი მიბაძვა, „გარუსების" საჭიროება და ამის მაგალითი ოჯახში, შკოლაში თუ საზოგადოებაში. შემდეგ მშობლიური კერის მთლად დაშორება, უცხო ქვეყანა, უცხო ხალხი. ვინ იყო ფაქტიური მასაზდოებელი ამ აღზდის სისტემის, მისი სულის ჩამდგმელი? იქნება ისინი, ვინც ახლა სხვას მამულიშვილობას და ბევრს სხვა რამეს უწუნებენ, დღესაც ერთგულათ ემსახურებიან ცხოვრებაში ამ სამარცხვინო მოვლენას. ამაზე იტყვიან—ისეთმა ფურმა დამწიხლოს ჩემზე მეტს იწველიდესო.

ალ—ანი.

---

## დეპეში.

(პეტ. ტელ. სააგენტო).

### ომი ბალკანეთზე.

**ბერლინი.** „დოიტშე ორიენტბანკ"-მა სტამბოლიდან დეპეში მიიღო, რომელიც ამბობს: საპასუხო ნოტაში პორტა ბულგარეთს ნახევარ ადრიანოპოლ უთმობსო.

**ლონდონი.** როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ოსმალეთი დიდ სახელმწიფოების საპასუხო ნოტაში უთმობს მარიაცის მარჯვენა ნაპირს და თავისთვის იტოვებს ადრიანოპოლის უბანს ძველი მეჩეთებით და მავზოლეებით. აგრეთვე მოითხოვს, რომ ნაპირის მახლობელ კუნძულებზე ოსმალეთის სუვერენიტეტი დარჩეს, მხოლოდ წესრიგის დამყარება ამ კუნძულებზე დიდი სახელმწიფოების საქმე იყოსო.

შემდეგი დეპეშის ცნობით შუადღისას საპასუხო ნოტა კიდევ ჩაბარებული არ ქონია მარკიზ პალადიჩინს, თუმცა წინანდელი ცნობით ნოტის ჩაბარება დილის 11 საათზე მოხდაო.

ბალკანეთის წრეებში ოსმალეთის პასუხმა არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ნათლად სჩანს, რომ პასუხი საქმეს ვერ სწყვეტსო.

ლონდონში ბალკანეთის დელეგატებ შორის დროებით დარჩებიან: ბულგარეთის ელჩი მაჯაროვი, სერბიის—ვესნიჩი, საბერძნეთის—სკულუდისი და შავმთიელი პოპოვიჩი.

**ლონდონი.** გაზ. „ტაიმსს" ძლიან უკვირს, რომ ახალგაზდა ოსმალების პოლიტიკოსები ომის განახლების უსარგებლობას ვერ ამჩნევენო.

გაზეთი ამბობს,—გერმანიის ელჩის სიტყვამ, რომელიც მან იმპერატორ ვილჰელმის დაბადების დღეს სტამბოლში გამართულ ბანკეტზე წარმოსთქვა, თვალები უნდა აუხილოს, რადგან ელჩმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ თითქმის ყველა დიდი სახელმწიფო ომის თავიდა აცილების საკითხს თანხმობით უყურებსო. „ტაიმსის" აზრით ტყუილია ის მოსაზრებაც, რომ რომელიმე დიდმა სახელმწიფომ ოსმალეთს ომისთვის ფულით დახმარება აღმოუჩინოსო.

**სტამბოლი.** დღეს პალავიჩინისათვის ჩაბარებულ ნოტაში სწერია: პორტას სურს ზავი მოახდინოს და ომსაც ბოლო მოუღოს. ოტმანის მთავრობამ მშვიდობის მოყვარეობა ბევრჯერ გამოიჩინო... ადრიანოპოლი მაჰმადიანთა ქალაქია და იმპერიის მეორე სატახტო, რომელიც იმპერიასთან განუყრელათ არის შეერთებული. მარტო უბრალო ხმებმაც კი—„ადრიანოპოლი დაუთმეს" ზიზღი და საშინელი მრისხანება გამოიწვია ხალხში, რის გამო ძველი კაბინეტი გადააყენეს, მაგრამ ევროპა რო დავარწმუნოთ—ჩვენ მშვიდობიანობა გვსურს პორტა უთმობს სახელმწიფოებს ადრიანოპოლის ნაწილებს, რომელიც მარიცის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და მისცემს, ვისაც მას სურს; ხოლო რაც შეეხება ადრიანოპოლის მეორე ნაწილს მარიცის მარცხნით მდებარეს, სადაც მოთავსებულია მეჩეთი, მავზოლეები და ისტორიული ძეგლები, ამ ნაწილზე ოსმალეთს სუვერენიტეტის შენარჩუნება აუცილებლათ მიაჩნია და ამიტომ პორტას არ შეუძლია ამ ნაწილის დათმობით მხარე უკიდურეს განსაცდელში ჩააგდოს.

რაც შეეხება ეგეის ზღვაში მყოფ კუნძულებს, პორტა აცხადებ: ერთი ნაწილი ამ კუნძულებისა, ადრიანოპოლის მახლობლათ მდებარე, აუცილებელია სატახტო ქალაქის დასაცავათ დანარჩენი კი აზიის მამულების განუყრელ ნაწილს შეადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, პორტა ამ კუნძულების ბედის გადაწყვეტას დიდ სახელმწიფოებს ანდობს, რადგან დარწმუნებულია, იგი მხედველობაში მიიღებს ჩვენ მიერ მოყვანილ დებულებასო.

### საზღვარგარეთი.

**ვენა.** მეფე უკეთ არის. მხოლოდ მალმალ ტემპერატურის ცვლილების ეშინიათ. ერცჰერცოგ-რაინერის დასაფლავების ცერემონიას იმპერატორი არ დასწრებია.

ერთი ვენის გაზეთში მოღვაწეთა კორესპონდენტის ინტერვიუა გამოქვეყნებული, რომელიც თურმე ადასტურებს 1900 წლიდან ავსტრიის და რუმინიას შორის საიდუმლო ხელშეკრულებაო. მხოლოდ „პოლიტიშე-კორესპონდენტის" მოწმობით ეს მოგონილია და ამის მზგავსი ხელშეკრულობა არადროს არ ყოფილაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგი, გუშინდელი გაცხარებულ კამათის შემდეგ პოლონეთის პარტიეების ინტერპოლიციაზე კანცლერის მიერ პოლონეთის მიწების აღმოსავლეთ პრუსიისაგან გამოყოფის საკითხისადმი კანცლერის დამოკიდულებაზე—უპასუხებს. რომ ეს საკითხი პრუსიის საქმეაო, 17 იანვარს რეიხსტაგმა 213 ხმით 97 წინააღმდეგ პოლონელებისაგან შეტანილი რეზოლიუცია მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ ექსპროპრიაციის მოხდენა რეინსტაგის რწმენას არ ეთანხმებაო.

კენჰის ყრის შედეგს სიხარულით შეხვდენ, რადგან მასში კანცლერისადმი უნდობლობას ხედვენ. ცენტრმა და პოლონელებმა ხმა ერთად მისცეს.

**ლონდონი.** მკვლევარმა ლემინკტონმა ცენტრალური აზიის საზოგადოებისადმი მოხსენებაზე გააცხადა: სპარსეთში ბრიტანიის პრესტიჟი უცხოელი ავაზაკებით გაუქმებულიაო. შვედელი აფიცრები კი, რომლებიც პოლიციის საქმეს განაგებენ, არ იცნობენ აღმოსავლეთს და ამიტომ საჭიროა მათ მაგიერ ინგლისელი აფიცრები დავნიშნოთო. ინგლისმა უნდა მოუპოვოს სპარსეთს სესხიო.

### რ უ ს ე თ ი.

**ხოვნო.** კიევიდან მიმავალი სახალხო მატარებელი საფოშტო მატარებლის ვაგონს დაეჯახა და ორი ვაგონი დაიმსხვრა. საფოშტო მატარებლის კონდუქტორის სასიკვდილოთ დაიჭრა და ხუთიც სუბუქათ.

**მინსკი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ მინის გუბერნიიდან აირჩიეს პაპა ასაფანოპოულო პინის მაზრის მარშალი.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტროში თათბირი გაიმართა იმის შესახებ, თუ როგორ გაავითარონ ვაჭრობა მრეწველობა ბუხარასთან და ავღანისტანთან.

## სამტრედიის ავ-კარგი.

რამდენათაც ვაჭრობით და აღებ-მიცემობით სხვა დაბებს ბევრათ წინ გაუსწრებს სამტრედია, იმდენათ კულტურული გასართობებით და დაწესებულებებით უკან ჩამორჩება ბევრს. ნუთუ სადგურის ბაქანზე გამოსვლის მეტი მოთხოვნილება არა აქვს სამტრედიელს, რომ მხოლოდ ამ „გულვარდით" კმაყოფილდება და არ ფიქრობს სხვა რაიმე კულტურული გასართობზე?!

გარდა რკინის გზის ა. წ. „როტონდისა," სამტრედიაში არ მოიძებნება ისეთი დარბაზი, რომელშიც შეიძლებოდეს წარმოდგენების და სალიტერატურო საღამოების მართვა, ლექციებისა და რეფერატების კითხვა.

როგორც სხვაგან (რკინის გზის ფარგალში), აქაც რკინის გზის ჟანდარმთა ბათომის განყოფილების უფროსისაგან უნდა აიღონ ნებართვა, რადგან „როტონდა" რკინის გზის ფარგალში შედის. მაგრამ, არა მგონია, სხვაგანაც ისე გაძნელებული, თითქმის, შეუძლებელი იყოს ნებართვის აღება, როგორც სამტრედიაში.

წარმოდგენების მართვა-გამგეობას ადგილობრივ წ. კ. საზოგადოების გამგეობა უდგას სათავეში. ჟანდარმთა უფროსი ერთხანათ სულ არ იძლეოდა ნებართვას, შემდეგ ჯერ თვით გამგეობას და მერე კი ქუთაისის გუბერნატორს მოსთხოვა რაღაც „ცნობები" და როცა დარწმუნდა, რომ ხსენებული საზოგადოება „ვიგინდარათა" გროვას კი არ წარმოადგენს, არამედ კანონით ნებადართული საზოგადოებაა, გაჯახირებით იძლეოდა ნებართვას. მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ სულ სხვა რამ ეღობებოდა წინ წარმოდგენების მართვას... ერთ გამგეობის მიერ გაგზავნილ კაცს მოახსენა ჟანდარმთ უფროსმა: „Не распространяйте Вашу грамотность въ полосѣ отчужденія желѣзной дороги"—ო.

1909 წელს გამოცემული ნება დარ-

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფოლ...რისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოვო ბ...ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლ...ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, ფერფლე...ემალ გამოჭედილი, ჭურჭელი თეთრი ...ბინები.

მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყვავილები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრე... სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოს ... საქანელი. მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარს ... კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები ... ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალიკები, პატე—გრამაფონები და მათი ... პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მ... ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული ... 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობ... თაისის გუბერნიისა და ბათომის ... მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

მიღებულია ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმოდგენილი მთელ ამიერ კავკასიისა სავაჭრო სახლი

# ი. გოვიელოვის შვ-ბი

ქუთაისში

თული პიესების „კატალოგი“ აქვს ბ. უფროსს და თუ რომელიმე პიესა არ არის აღიშნული ხსენებულ „კატალოგში“ ნურც მოელით, რომ წარმოდგენის ნებართვა მოგეცეთ რკინის გზის ფარგალში.

თუ არ ვცდები, წარსულ გაზაფხულზე წ. კ. საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა მგოსან აკაკის წაეკითხა ლექცია: „საქართველოს არქეოლოგიური ნაშთები.,“ იმ მიზნით, რო ნებართვის აღება გაადვილებულიყო, ქუთაისის გუბერნატორის მიერ ნებადართული კონსპექტიც თან გავაყოლეთ თხოვნას, მაგრამ ჟანდართ უფროსმა უკანვე დააბრუნა თხოვნა ასეთი ზედწარწერით: „გუბერნატორს ნება დაურთავს წაიკითხოთ ლექცია სამტრედიაში და არა „როტონდაში.“

კვალად ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი: მოინდომეს „სიმახინჯე“-ს გმირების გასამართლება, მაგრამ ნებართვის ასაღებათ წასული შემდეგი პასუხით გამოისტუმრა ბ. უფროსმა: „ვინ მოგცათ უფლება გაასამართლოთ ვინმე? არსებობს მთავრობის სასამართლო და იქ მიმართეთ!..“

ამ იანვრის 20-საც უნდოდა მოეწყო წ. კ. საზოგადოებ-ს გამგეობას სალიტერატურო სალამო და მოწვეული ყვდა ახალგაზდა პოეტები. გაგზავნილი თხოვნა უკანვე მოუვიდა გამგეობას შემდეგი ზედწარწერით: „მიჩვენეთ წყაროები, ვინ სიდან რას წაიკითხავსო?“ გაუგზავნა გამგეობამ ი. ევდოშვილის, ი. გრიშაშვილის და ვ. რუხაძის თხზულებები და უჩვენა კიდეც, ვინ რას წაიკითხავდა, არ შემიძლია ნება დაგრთოთო, როდესაც ერთი მათგანის თხზულება ცხრაას ხუთამდეა გამოცემული და ძლიერ გარკვეულა აწერია წიგნს: „дозволено цензурою.“

„საცინელი იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.“

დრო კია, რომ სამტრედიელებმა ხორცი შეასხან დაბაში საკუთარი თეატრის აგების პროეკტს, სიტყვა საქმეთ გადააქციონ და ერთხელ და სამუდამოთ აიცილონ თავიდან ამგვარი დაბრკოლებანი.

არწივი.

## გ უ რ ი ა.

**ლანჩხუთი.** 9 იანვარს სასამართლოში ერთი უბედურება დატრიალდა. დილა ადრიანათ ბ. კ. მგელაძე სასამართლოს დარბაზში იჯდა მარტოთ და „საქმეებს“ ათვალიერებდა, რომელიც მას უნდა დაეცვა. ამ დროს მოსამსახურემ კარი გაუღო თ-დ ვ. გურიელს, რომელიც წაეპარა მგელაძეს და ხანჯალით დასჭრა თავში—გურიელს თან ხლებია რამდენიმე კაცი. დაჭრილი თფილისის საავათმყოფოში წაიყვანეს.

14 იანვარს იდღესასწაულეს წმ. ნინოს დღე. სამოქალაქო შკოლის დარბაზში იყო გაკეთებული სცენა და ვინაიდან შესვლა უფასო იყო, ხალხი აუარებელი დაესწრო. უალაგობის გამო, თითქმის ნახევარი გარეთ დარჩა. იმღერეს ბავშებმა და ითამაშეს „პეტრიკა მოიწამლა“. საგულისხმო იყო „პეტრიკა“-ს როლში ფროლის და ჟორდანის პატარა ქალები პიესას შემდეგ დაიწყეს ცოცხალი სურათების ჩვენება. ამ დროს ვიღაცამ—ფანჯარაში ისროლა 2—გირვანქაზე მეტი ქვა, რომელიც თავში მოხვდა დიდიძის ასულს. საზარელი სურათი იყო ატყდა ქალების წივილ-კივილი, ხალხი ერთბაშათ წამოიშალა და ვინ სით გარბოდა, არ იცოდა. დიდიძის ასული იქვე საავათმყოფოში წაიყვანეს.

—

ლანჩხუთი დიდი საზოგადოებაა და ბევრი მოინტელიგენტო ხალხიც მოიპოვება. მაგრამ კულტურული დაწესებულებას, რომ ხელი შეუწყოს, ასეთი ჯერჯერობით თითქმის არავინ არის. გასულ წელს იმართებოდა წარმოდგენა და შემოსავალიც კარგი იყო.

საჭიროა, ერთისა და ორის გამოწყებულ საქმეს, სხვებმაც შეუწყონ ხელი და თუ ხელს ვერ შეუწყობენ, გაცილებით უკეთესი იქნება, სულ არ გაერეონ საქმეში.

მაგალითად, ამას წინათ გაჩნდა ერთი ჯიბრი სულ პატარა საქმეზე. თეატრის გამგეობამ შეიმუშავა წესდება, რომელიც გუბერნატორისათვის უნდა წარედგინათ. გამგეობა გაიყო ორ ბანაკათ და იძახოდა ეს ჩემი გაკეთებულია, ეს ჩემიო, საქმე იმზომამდი გაჭიანურდა, რომ დაბეზღებამდი მიაწია! ბოლოს წესდება ერთმა ბანაკმა ჩაიგდო ხელში და მგონია, წიწილებს აჩეკიებს...

თვით არ იყო ძმარი, გაურიეს წყალი—ო, სწორეთ ასეა ახლა აქაური თეატრის საქმე. თუ ფასიანი წარმოდგენა გამართე 10—15 მან.-ის ბილეთი აღარ იყიდება და, აი, რამ გამოიწვია ეს საქმე: ამას წინათ მოხდა გასამართლება „მოსე მწერალი“-სა. ხსენებული გასამართლება ვ. კალანდაძის ხელ მძღვანელობით იყო გამართული, რომელმაც აფიშაში გამოაცხადა:—გასამართლებაში მონაწილეობას მიიღებს აკაკი წერეთელი, ივ. გამართელი, ს. ქვარიანი“ და სხვაო. აგრეთვე აცხადდება „იმღერებენ ქართულ რუსულ რომანსებსო, მაგრამ ხალხი მოტყუვდა ყველა ფერში. არავინ აფიშაში ნახსენები არ ყოფილა.

ეს არის მიზეზი, რომ დღეს ხალხი თეატრში აღარ დადის, გაურბის კიდეც... დღემდი თუ ვეცადეთ და შევაყვარეთ სცენა,—დღეს კრულვით იხსენიებენ მას.

სზარტაკი.

რედაკტორ გამომცემელი

გ. ე. ჭელიძე

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

## „განათლება“

**მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.**

(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები. პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

**წლიური ფასი: ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაკტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.



## ფილიპე ნ. ჭელიძის

## შამპანიურ „თამარ მეფე“ და „კოლხიდა“



ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა

ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მთხოვნელებისათანავე ეგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.

მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

**КНИГИ** изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высилаю безплатно. Выписывать исключ. по адресу: Бѣлая-церковь Кіев. губ., С. А. КОЗЛОВСКОМУ.

## გ. გორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისაგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

## განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებ... რომ ამა 1913 წლის 19 იანვარს, დღის 1... საათზე, გამგეობის შენობაში

დანიშნულია ვაჭრობ...

ქალაქის ქუჩებზე და მოედნებზე აფიშებ... და განცხადების გაკვრის უფლების იჯარ... გასაცემათ.

რა საჭიროა—სოფელში ააშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ო... ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

## ძმ. ე. და პ. საპაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.

(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორ...“ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ლიან ცოტა არის მოსული.

ვაჭრობასა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა, თფილისში

მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელ. 976.

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის თავრებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლ... ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში) Muster comtoir-ში მასალები რეალური ... რებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ: 1) ბუღალტერია (უბრალო. იტალიური, გერმანული, რიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლ... რი ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციულ... რესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორა, ხელის გასწორება. სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტ... სხვადასხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებათ კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა მიღებულნი, გავხსენით სპეციალურ... თა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის. მეცადინეობა შეიძლება ... თითოეულათაც. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით და 4—7 საღამ. მეცადინეობა ... უება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოთ ... ბის სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობს სავაჭრო სახლებში ალაგის ... მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათში 42 ქალი; რადგანაც მსურველი ბევრია, ... სებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ძლიერ ხელსაყრელ... გარეთ მცხოვრებთათვის.